



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 6
07/02/2018

6-06-4-201802071903



განკარგულება №6 7 თებერვალი 2018 წელი

საკრებულოს წევრის მიერ მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ყოველთვიური ლიმიტისა და თითოეული მოვალეობის შესრულებისათვის ხარჯების მაქსიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, ამავე კოდექსის 156-ე მუხლის მე-5 ნაწილის, საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლისა და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრისათვის, რომელიც არ არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი, ასანაზღაურებელი ხარჯების ყოველთვიურ ოდენობად განისაზღვროს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის 15% - 450 (ოთხასორმოცდაათი) ლარი.

მუხლი 2. საკრებულოს წევრის თითოეული მოვალეობის შესრულებისათვის ხარჯების მაქსიმალურ ოდენობად ლიმიტის ფარგლებში განისაზღვროს:

- ა) საკრებულოს სხდომებში მონაწილეობისათვის - 50 (ორმოცდაათი) ლარი;
- ბ) საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობისათვის - 50 (ორმოცდაათი) ლარი;
- გ) საკრებულოს ფრაქციის სხდომებში მონაწილეობისათვის - 50 (ორმოცდაათი) ლარი;
- დ) დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობისათვის - 50 (ორმოცდაათი) ლარი;
- ე) ამომრჩევლებთან გასვლითი შეხვედრებისათვის - 50 (ორმოცდაათი) ლარი;

ვ) ადმინისტრაციულ შენობაში მოქალაქეთა მიღებისათვის - 50 (ორმოცდაათი) ლარი.

მუხლი 3. ამ განკარგულების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს საკრებულოს წევრის მიერ მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ყოველთვიური ლიმიტისა და თითოეული მოვალეობის შესრულებისათვის ხარჯების მაქსიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 აგვისტოს N86 განკარგულება და „საკრებულოს წევრის მიერ მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ყოველთვიური რაოდენობისა და თითოეული მოვალეობების შესრულებისათვის ხარჯების მაქსიმალური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აგვისტოს N74 განკარგულება.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 5. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

